

მიხეილ ქართველიშვილი\*

**სარწმუნოებრივი პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი  
ლევ ტროცკის თხზულებებში**

თანამედროვე ეტაპზე უდიდესი შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, რადგან სრულიად ამკარაა, რომ მის ობიექტურ გააზრებაზე დიდწილადაა დამოკიდებული თანამედროვე ვითარების მართებული ანალიზი და სახელმწიფოებრივი განვითარების სამომავლო პერსპექტივების მეტ-ნაკლები სიზუსტით დასახვა.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ყოფილი საბჭოთა კავშირის სარწმუნოებრივი პოლიტიკა, რომლის ძირითადი ასპექტებისა და მახასიათებლების მეცნიერულ შესწავლასაც ასევე მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თანამედროვე ქართულ, რუსულ და ევროპულ საისტორიო მეცნიერებაში შეინიშნება საკმაოდ დიდი ინტერესი ყოფილი საბჭოთა კავშირის სარწმუნოებრივი პოლიტიკის შესწავლისადმი. გააზრება მისი სხვადასხვა მიმართულებები. წინამდებარე ნაშრომის მეცნიერული სიახლე კი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ სამეცნიერო-კვლევითი ანალიზის სფეროდ გვექცია საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი აქტიური იდეოლოგიური და პოლიტიკური მესაძირკვლის ლევ ტროცკის (ლეიბა ბრონშტეინი) თხზულებები, რადგან მიგვაჩნია, რომ საბჭოთა პოლიტიკური სისტემის და მისი ძირითადი მახასიათებლების შესწავლა-გაანალიზების გარეშე თითქმის შეუძლებელია იმ თეორიული ბაზის სათანადო გააზრების გარეშე, რასაც შემდგომში საბჭოთა სახელმწიფოებრივი განვითარება დაეფუძნა. მხედველობაში გვაქვს ვლადიმერ ლენინის, ლევ ტროცკისა და იოსებ სტალინის ნააზრევნი<sup>1</sup>, რომლის სიღ-

\* ისტორიის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის ქრისტიანობის კვლევების სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტის თავმჯდომარე

<sup>1</sup> ვრცლად იხილეთ: მიხეილ ქართველიშვილი, საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკა ვლადიმერ ლენინის, ლევ ტროცკისა და იოსებ სტალინის ნააზრევნი (შედარებითი ანალიზი), უურნ. „ქრისტიანობის კვლევები“, III, თბ., 2009, გვ. 94-102

რმისეული შესწავლის აუცილებლობაზეც მიუთითებდა გამოჩენილი რუსი ეთნოლოგ-სოციოლოგი ლევ გუმილევი: „საბჭოთა სააზროვნო სისტემის თითქმის ყველა სფერო სწორედ მათ (იგულისმება ლენინი, ტროცკი და სტალინი *მ.წ.*) იდეებზეა დაფუძნებული, ამიტომ მათი ანალიზის გარეშე შეუძლებელია ობიექტური სურათის შექმნა“ [5:30].

ლევ ტროცკის პუბლიცისტურ შემოქმედებაში სარწმუნოებრივ საკითხს ერთობ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომლის გაანალიზების შედეგად იკვეთება ის ძირითადი შტრიხები, რომლის მიხედვითაც სავსებით რეალურადაა შესაძლებელი ვიმსჯელოთ მის ძირითად შეხედულებებსა და მის ასახვაზე საბჭოთა სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე.

საყურადღებოა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ლევ ტროცკი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის სანყის ეტაპზე იდეური და საორგანიზაციო თვალსაზრისით მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ მიმართულებასთან, რაც თავის მხრივ მის მსოფლმხედველობას მნიშვნელოვნად აახლოვებდა ევროპული სოციალიზმის იდეებთან, რომლის წარმომადგენლებსაც (კლოდ სენ-სიმონი, ფრანსუა ფურიე, ჟან მელიე და სხვ.) რუსეთთან დაკავშირებით განსაკუთრებული პოზიცია გააჩნდათ, რომელიც მიზნად ისახავდა რუსული სახელმწიფოს მიშვნელოვან დაშლა-დასუსტებას და მის ევროპულ სახელმწიფოებთან მაქსიმალურ დაქვემდებარებას. აღნიშნულს მნიშვნელოვნად ხელს უშლიდა რუსული მართლმადიდებლობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალობისა და იდეოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ევროპული სოციალიზმის წარმომადგენლებმა რუსეთის წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლის მთავარ ორიენტირად მართლმადიდებელი ეკლესია აირჩიეს. აღნიშნულმა იდეოლოგიამ არსებითად განსაზღვრა ლევ ტროცკის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის მრავალი მახასიათებელი.

პირველი ნაშრომი, რომელშიც ლევ ტროცკიმ გაანალიზა სარწმუნოებრივი საკითხი და მისადმი დამოკიდებულების მნიშვნელობა, არის პუბლიცისტური წერილი „მთავარი გზა“, რომელიც 1908 წელს დაიწერა. წერილში მოცემულია მეფის ხელისუფლების ყოველმხრივი კრიტიკა. ავტორს მიაჩნია, რომ არსებულ მთავრობას რუსეთი შეგნებულად მიყავს დალუპვისკენ და საჭიროა შემუშავდეს მისი დამხობის კონკრეტული გზები და ამოცანები“ [8:21-22]. ხელისუფლების კრიტიკის დროს დროს ლევ ტროცკი ყურადღებას ამახ-

ვილებს სამღვდელეობის განსაკუთრებულ როლზე საზოგადოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბების საქმეში, რომელსაც ბუნებრივია ძალზედ უარყოფითად აფასებს და მიაჩნია, რომ საეკლესიო კლასი ძალზე იდეოლოგიზირებულია, ამიტომ საჭიროა მისი მაქსიმალურად შეზღუდვა და სოციალურად გარკვეული იზოლირება [8:22]. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ რევოლუციამდელ პერიოდში ლევ ტროცკის თავის წერილებსა თუ მიმართვებში საეკლესიო თემატიკაზე რადიკალური მოსაზრება საჯაროდ აღარ დაუფიქსირებია, რაც რუსეთის ეკლესიის ისტორიის თვალსაჩინო ამერიკელი მკვლევარის დანიელ შუბინის სამართლიანი თვალსაზრისით, ნაკარნახევი იყო ლენინის სარწმუნოებისადმი ერთგვარი ფრთხილი დამოკიდებულებით, რადგან, როგორც ცნობილია ეს უკანასკნელი მიუხედავად მისი უკიდურესად ანტი-საეკლესიო მოსაზრებების მიუხედავად ერიდებოდა სამღვდელეობისა და ზოგადად საეკლესიო თემატიკაზე მკვეთრად უარყოფითი აზრის დაფიქსირებას, მიიჩნევდა რა მას მეტად ფრთხილ თემად, რომელიც უკავშირდება საზოგადოების ფართო ფენების განსაკუთრებულად ფაქიზ გრძნობებს [6 :189].

როგორც ცნობილია, 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც დაამხო დროებითი მთავრობა და ხელისუფლების სათავეში მოვიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური მიმართულება, რომელმაც მიზნად დაისახა პრაქტიკულად განეხორციელებინა სრულიად ახალი ტიპის ქვეყნის ჩამოყალიბება. ბუნებრივია, მას სახელმწიფოს განვითარების განსხვავებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-სარწმუნოებრივი ხედვა ჰქონდა გააზრებული.

ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური ძალა ნათლად აცნობიერებდა, რომ სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა სარწმუნოებრივი საკითხი. ამ უკანასკნელის გადაჭრის მიზნით საბჭოთა მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო სასწრაფოდ შეემუშავებინა „საეკლესიო კურსი“. ხელისუფლების წინაშე დადგა ორი საკითხი: 1) ეკლესიის მთლიანი ლიკვიდაცია; ან 2) საეკლესიო მოდერნიზაცია. პირველის მომხრე იყო ლენინ-ტროცკის, ხოლო მეორის სტალინის ბანაკი. საბჭოთა იმპერიაში განვითარებულმა მოვლენებმა აშკარად ცხადყო, რომ იმ ეტაპებისთვის რომელი კურსი იყო სასურველი მნიშვნელობის და რომელმა კურსმა გაამართლა იმდებობა საბჭოთა ძლევამოსილი იმპერიის დამკვიდრების საქმეში [3:441].

1918 წელს გამოდის ლევ ტროცკის ბროშურა „პერმანენტული რევოლუცია“, სადაც დაწვრილებითაა გაანალიზებული ის პრაქ-

ტიკული ნაბიჯები, რომელთა განხორცილებაც სოციალიზმის იდეის წარმატებულ და სწრაფ გავრცელებას უზრუნველყოფს. აქ ნათლად იგრძნობა მისი შეუვალობა, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავდა რაიმე კომპრომისსა თუ კონსესუსს ბრძოლის გზაზე. ლევ ტროცკი სამღვდელოებას მოუწოდებს „დროულად მოეგონ გონს, დაანებონ თავი საზოგადოების განგებ შეცდომაში შეყვანას, ჩადგენ კომუნისტური სახელმწიფოს სამსახურში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სასტიკი რეპრესიებით ემუქრება“ [9].

საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვნეს და მეტად საინტერესო ასპექტს წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულება. მასში თვალსაჩინოდ მჟღავნდება მთელი რიგი საყურადღებო არსობრივი მახასიათებლები, რომელთაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ლევ ტროცკის მოსაზრება, რომელსაც ამ პერიოდში სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა: „სახელმწიფოს განვითარება ეკლესიისგან დამოუკიდებლად უნდა მიმდინარებდეს, ჩვენ ვესწრაფვით ქვეყანა გავანთავისუფლოთ ფეოდალური გადმონაშთებისგან, დროა სამღვდელოებამ დაამთავროს არსებობა, ჩვენი წარმატება მხოლოდ ეკლესიისგან დამოუკიდებლადაა შესაძლებელი“ [10].

მისმა აღნიშნულმა ნააზრევმა პრაქტიკული რეალიზაცია 1918 წლის 23 იანვარს გამოცემული საბჭოთა რუსეთის სახალხო საბჭოს მეორე დეკრეტით – „სახელმწიფოსგან ეკლესიის და ეკლესიიდან სკოლის გამოყოფის თაობაზე“ – ჰპოვა, რომლის მიხედვითაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გაუთანაბრდა რუსეთში არსებულ სხვადასხვა რელიგიურ თემებსა და ორგანიზაციებს. ამიერიდან რუსეთის ეკლესია სახელმწიფოსაგან არავითარ ფინანსურ დახმარებას აღარ მიიღებდა, ხოლო მისი ქონება გამოცხადდა „საერთო-სახალხო მონაპოვრად“. რელიგია, მათ შორის მართლმადიდებლობა, ითვლებოდა საბჭოთა რუსეთის მოქალაქეების პირად (კერძო) საქმედ. საეკლესიო ფიცის დადება გაუქმდა, ჯვრისწერამ დაკარგა იურდიული ძალა, სასკოლო პროგრამებიდან ამოიღეს საღვთო სჯულის სწავლება. რელიგიურ თემებს დაუტოვეს უფლება თავისი ხარჯით შეექმნათ სპეციალური რელიგიური სასწავლებლები, სადაც მორწმუნეები განათლების მიღებას შეძლებდნენ. სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფა დაასტურა საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციამ, რომელიც 1918 წლის 10 (23) ივლისს მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობამ [2:34-35].

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის გზით შესაძლებელი იქნებოდა

სსრ კავშირის ცალკეულ ერებში ეროვნული თვითმყოფადობისადმი მისწრაფებების აღმოფხვრა, რომლის იდეოლოგიური საყრდენიც ეროვნული ეკლესია იყო. კომუნისტური პარტიის მესვეურთათვის ცნობილი იყო, რომ ისტორიულად სახელმწიფოსა და ადგილობრივი ეკლესიის ერთობლივი მოღვაწეობა ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა, აღვივებდა მასებში ეროვნულ თვითმყოფადობას, რაც ბუნებრივია დაუპირისპირდა საბჭოურ ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას. სწორედ ამიტომ ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფას იგი მაქსიმალურად უნდა დაესუსტებინა და საბჭოთა წყობილებით-სათვის უსაფრთხო ელემენტად ექცია [1:19].

საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ასპექტი იყო ღვთისმსახურების მნიშვნელოვანი შეზღუდვა და შემდეგ მისი სრული აკრძალვა. ტროცკი ცალსახად მიუთითებდა, რომ ეს იყო საზოგადოების ნაწილი, რომელიც მაქსიმალურად შეზღუდული უნდა ყოფილიყო და მას არ უნდა ჰქონოდა არანაირი უფლებები [6].

საბჭოთა ხელისუფლების ზენოლას განიცდიდნენ ეკლესიამონასტრები; მასიურად იხურებოდა ტაძრები და მათი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა; მიმდინარეობდა ეკლესიის მსახურთა და მრევლის ურთიერთ დაპირისპირება; ტაძრიდან გამოტანილ იქნა წმინდა ნაწილები და ადგილობრივი მუზეუმების საცავებს გადაეცა; უმძიმესად იბეგრებოდა სამღვდლოება; ინგროდა ტაძრები და მას სამენ მასალად იყენებდნენ; იძარცვებოდა ეკლესიები სამღვდლო შესამოსელისა და საეკლესიო ინვენტარისგან, განსაკუთრებული სისატიკით იღვენებოდნენ სასულიერო პირები [3:443]. კომუნისტური ტერორის აქტიური იდეოლოგი და პრაქტიკული რეალიზატორი სწორედ ლევ ტროცკი იყო, რომელიც ყველანაირად ცდილობდა სამღვდლოება, როგორც საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი, მაქსიმალურად დამცირებულ და დაკნინებულ მდგომარეობაში ჩაეგდო [7:46].

სწორედ ამიტომ ლევ ტროცკის თხზულებებში ხშირად ვხვდებით სამღვდლოებისადმი მიძღვნილ დამცინავი შინაარსის ჰამფლექტებს. აღნიშნულიც საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის მიხედვითაც მოსახლეობაში ეკლესიისა და სამღვდლოებისადმი უნდა დამკვიდრებულიყო არა ტრადიციულად გავრცელებული მონინებულ-მოკრძალებული დამოკიდებულება, არამედ იგი მუდმივი ქილიკისა და შეურაწყოფის საგანი უნდა გამხდარიყო. აღნიშნულ მიზანს ისახავს პრესისადმი მისი სპეციალური მითითება: „გამოიჩინეთ თავი, აღნუსხეთ თურა ხდება სოფლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სამღვდლოებას, ნუ მოერიდებით არსებული მდგომარეობის გაბუქებას“ [11].

ლენინ-ტროცკისეული საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკის თანახმად უნდა მომხდარიყო ეკლესიისაგან ახალგაზრდობის სრული ჩამოშორება, რათა ამ გზით მიღწეული ყოფილიყო ათეისტურად მოაზროვნე თაობის აღზრდა-ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფდა ათეისტური სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობას.

სარწმუნოებრივი პოლიტიკის აქტიურად გატარების მიზნით საბჭოთა მთავრობა გზავნიდა თავის ჯაშუშებს, რათა წარმოდგენა ჰქონოდათ ეკლესიის ორიენტაციასა და მისი კრებულის საქმიანობაზე. სახელმწიფო აგენტები იყენებდნენ, მატერიალური მდგომარეობით გამოწვეულ მათში დანერგილ ყველა მანკიერ ქმედებას, ეწეოდნენ პროვოკაციულ საქმიანობას სამღვდელოებისა და მრველის ურთიერთ დაპირისპირებისათვის, რასაც განსაკუთრებით ხშირად ჰქონდა ადგილი საეკლესიო დღესასწაულების დროს [1:33]. აღნიშნულის შესახებ პირდაპირ მიუთითებდა ტროცკის მიმართვა პროლეტარიატისადმი, სადაც ყურადღებაა გამახვილებული ე.წ. „ჯაშუშურ ელემენტებზე“, საბჭოთა მოქალაქეებს „ევალებათ იმუშაონ სახელმწიფოს ინტერესების განუხრელად აღსრულებისათვის და გამოავლინონ ქვეყნის მტრები მთელ საზოგადოებაში. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებაზეც, რომ სტალინის ნებისმიერი ამგვარი მოწოდება თუ მიმართვა სათანადო ასახვას ჰპოვებდა ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე და საბჭოების დადგენილების საფუძველზე მისი შესრულება სავალდებულო ხდება.

ათეისტური იდეოლოგია უნდა გამხდარიყო აბსოლუტურად ყოვლისმომცველი და მას უნდა შეძლებოდა მოსახლეობაში პარტიული დარაზმულობისთვის ხელშეწყობა. კომუნისტების დროს ათეიზმი წარმოგვიდგებოდა, როგორც ერთიანი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც თავისი მსოფლმხედველობიდან სრულიად გამორიცხავდა რელიგიურ წარმოდგენებს. აცხადებდა რა მათ დრომოჭმულ, არამეცნიერულ შეხედულებად, რომლის აღმოფხვრაც დროთა განმავლობაში გარდაუვლად უნდა მომხდარიყო [4:32]. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა, ანტისარწმუნოებრივი იდეოლოგიის სამეცნიერო აზროვნებაშიც გავრცელება, რათა „მეცნიერული“ დასაბუთება მისცემოდა საბჭოთა ათეისტურ პოლიტიკას.

XX საუკუნის 20-იანი წლების შუა წლებიდან ვლადიმერ ლენინის გარდაცვალების შემდეგ ლევ ტროცკი ხელისუფლებას ჩამოაშორეს და საბჭოთა სარწმუნოებრივი პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მიზან-მიმართული მოდერნიზაცია-ევოლუციის პროცესი დაიწყო, რაც იოსებ სტალინსა და მის პოლიტიკურ თანამოზრეებს უკავშირდება.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ლევ ტროცკის, როგორც საბჭოთა სისტემის ერთ-ერთი მთავარი თეორიული და პრაქტიკული შემომქმედის თხზულებების მეცნიერულ შესწავლას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მათში თვალსაჩინო ასახვა ჰპოვა, როგორც ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მრწამსმა, ასევე საბჭოთა კავშირის, პოლიტიკურ განვითარების გარკვეულმა ისტორიულმა ეტაპმაც.

#### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ბენდელიანი მედეა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40 წლებში, თბ., 2002
2. ვაჩნაძე მერაბ, გურული ვახტანგ, რუსეთის ეკლესიის ისტორია, ნაწილი III (1901-2001), ნაკვეთი I (1901-1945), თბ., 2008
3. პავლიაშვილი ქეთევან, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945), ნაწილი I, თბ., 2008
4. ფანჯიკიძე თეიმურაზ, რელიგიური პროცესები საქართველოში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 2003
5. Lane Christel, Christian Religion in the Soviet Union : A Sociological Study, State University of New York Press, 1978
6. Shubin Daniel H., A History of Russian Christianity (1894-1990), Volume IV, New-York, 2006
7. Thather Ian D, Trotsky, New-York, 2002
8. Trotsky Leon, The Main Way, წიგნში: Anthology of Soviet Ideology, London, 1995, Vol. II
9. Троцкий Лев, Перманентная революция (<http://www.magister.msk.ru/library/trotsky/trotl004.htm>)
10. Троцкий Лев, Советская Республика и капиталистический мир (<http://www.magister.msk.ru/library/trotsky/trotl622.htm>)
11. Троцкий Лев, Терроризм и коммунизм (<http://www.magister.msk.ru/library/trotsky/trotl033.htm>)

Mikheil Kartvelishvili

### **Some problems in Religious politics in Leon Trotsky's works**

#### Summary

The scientific study of the Soviet Union's history in modern stage has it great theoretical and practical important, because it's obvious the dependent today's state development objective analysis and the plan of the future perspectives in more or less exactness.

Abovementioned point of view shows a special interest of the Soviet religious politics which highly professional analaisis has a great importance. The main aim of this work is to study scientifically the Soviet religious politics evolution development and it's main aspects.

This work discusses the Soviet Unions politic systems one active and pratical states-mans Leon Trotskie's consideration analaysis. This work also discusses his appearance which are densely connective Soviet-Unions religious politics development concrete historical stage.